ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 8

ქ. ახმეტა 1 მაისი, 2019 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, თ. ბოდაველი, თ. ბორჩაშვილი, ა. შათირიშვილი, ლ. ითიურიძე, გ. ხუცურაული, გ. ხადიშვილი, დ. იმერლიშვილი, ვ. სუხოშვილი, ლ. უძილაური, თ. მგელიაშვილი, ა. ბუღრიძე, ი. მრელაშვილი, თ. მოზაიძე, ა. ხიზანაიძე, ლ. გოგოთიძე, ფ. შიომღვდლიშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი, შ. ტერტერაშვილი, გ. ჭვრიტიძე.

დამსწრე მოქალაქეები: ს. მარუქაშვილი, ნ. ზუბაშვილი, გ. მამუჩარაშვილი, ლ. მარუქაშვილი.

სხდომა გაიხსნა 11 ^{00} საათზე.

დღის წესრიგი

1. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე“ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვ. ნასყიდაშვილი/

2. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. დუისში მდებარე **70017**კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი) მიწის ფართის უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თ. კუდიანაშვილი/

3. ,, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თ. კუდიანაშვილი/

4. ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დ. აბულაძე/

სხდომა დატოვა - ლ. გოგოთიძემ და გ. ჭვრიტიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება:

სხდომას ესწრება 21 საკრებულოს წევრი.
მომხრე - 18
მონაწილეობა არ მიიღო - ვ. დედაბრიშვილი, შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი

ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვ. ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა: მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული სახით.

სხდომას ესწრება 21 წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - ვ. დედაბრიშვილი, შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 21: ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

მოისმინეს:,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. დუისში მდებარე 70017კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი) მიწის ფართის უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თ. კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა: დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფ. დუისში მდებარე 70017კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, (საკადასტრო კოდი 50.06.35.128) - სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-2490.0 (ორიათას ოთხას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით: - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

სხდომას ესწრება 21 წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, ვ. დედაბრიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი, თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 22: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. დუისში მდებარე **70017**კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, მრავალწლიანი) მიწის ფართის უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

მომხსენებელმა განმარტა: დამტკიცდეს, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, სატრანსპორტო საშუალება ვაზ 21213, გამოშვების წელი 2004, სახელმწიფო სერია და ნომერი WKW 252. ძრავის N 7809157. 2. დამტკიცდეს: სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213, (გამოშვების წელი 2004, სახელმწიფო სერია და ნომერი WKW 252. ძრავის N 7809157. სარეგისტრაციო მოწმობა RV0137560. გადაცემათა კოლოფი მექანიკური) - საწყისი საპრივატიზებო საფასური - 2186 (ორიათას ას ოთხმოცდაექვსი) ლარით.

სხდომას ესწრება 21 წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - ვ. დედაბრიშვილი, შ. ტერტერაშვილი, გ. მაისურაძე, თ. ბოდაველი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 23: ,, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და უპირობო ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დ. აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო: დაშვებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში: სპეციალური სატრანსპორტო საშუალების (კამაცუ) მძღოლი-1, ავტობუსის მძღოლი-1, მიკროავტობუსის მძღოლი -1, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი-1, მძღოლები მერიაში-3, ინფორმაციული ტექნოლოგიების - (IT) სპეციალისტი-1, მერის მრჩეველი-2, მერის თანაშემწე-1, მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1. აღნიშნული შეთანხმება ძალაშია 2020 წლის 1 იანვრამდე.

სხდომა დატოვა - შ. ტერტერაშვილმა და თ. ბოდაველმა.

სხდომას ესწრება 19 წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - გ. მაისურაძე, ფ. შიომღვდლიშვილი.

წინააღმდეგი - ვ. დედაბრიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 24: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 11^{50} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი